საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაიწონი

კაიწონი, ციხესიმაგრე ისტორიულ ქვემო ქართლის (გოგარენე) ტერიტორიაზე, საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. სავარაუდოდ, მდებარეობდა მდ. ინჯასუს ხეობის ზემო წელზე (სომხეთი), ახლანდ. სოფ. კოხბთან (ისტ. კოლბი). სომხ. წყაროების მიხედვით, კ. აგებულია X ს. II ნახევარში, კაენისა და ბიჯნისის ციხეებთან ერთად, მაგრამ არსებობს მოსაზრება, რომ იგი უფრო ადრინდ. ხანისა უნდა იყოს. XI ს. დასაწყისში კვირიკიანი ბაგრატუნების სამფლობელო იყო, XI ს. შუა წლებში ბიზანტიას გადაეცა. XII ს-იდან საქართვ. სამეფოს ფარგლებში მოექცა. ეს უნდა იყოს დღევანდელი „ბაჩანას ციხესიმაგრე", რ-საც XII ს. ქართული ასომთავრული წარწერა ჰქონდა.

დ. მუსხელიშვილი